მაია გოგოჩიშვილი
მისამართი: თბილისი, მუხიანის დასახლება, 3-10-104,
ელ.ფოსტა: mariamgeorgien@gmail.com
ტ. 555 730 424

თბილისის არქიტექტურის სამსახურის უფროსს ბატონ
თეიმურაზ ჭოლოყაშვილს

მოგესალმებით,

ვაპროტესტებთ არქიტექტურის სამსახურის მიერ მიღებულ N4342080 გადაწყვეტილებას, რომელიც გაიცა ჩვენი განცხადების #AR1655078 პასუხად, რომელშიც ვეწინააღმდეგებით ქ. თბილისში, მუხიანის დასახლებაში, ნოდარ დუმბაძის გამზირზე , ნაკვეთი 01.11.13.005.040 საკადასტრო ერთეულით (გამიჯვნამდე 01.11.13.005.104) რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე სამშენებლო განვითარებას. სამწუხაროდ თქვენი პასუხი არ შეიძლება ჩაითვალოს პასუხად, ვინაიდან მან უფრო მეტი შეკითხვა გააჩინა და დაგვაფიქრა. სავარაუდოდ ჩვენი განცხადება ან უგულისყუროდ იქნა წაკითხული ან უკაცრავად მაგრამ უპასუხისმგებლოდ იქნა პასუხგაცემული, სწორედ იმ შაბლონით რომლითაც ყველა განცხადებაზე ,,შეტყობინება არქიტექტურულ ობიექტზე,, გაიცემა ხოლმე.

თქვენი პასუხის პირველ ნაწილში ბრძანებთ :

,,საჭიროა თქვენს მიერ წარმოდგენილი „შეტყობინება არქიტექტურულ ობიექტი“-ზე ნათლად და გარკვევით დაფიქსირდეს რატომ ეწინააღმდეგებით კონკრეტულ სამშენებლო სამუშაოებს. (რა ნორმებს ეწინააღმდეგება შესათანხმებელი სამშენებლო სამუშაოები) და რა ზიანი შეიძლება მოგადგეთ განსახორციელებელი სამშენებლო სამუშაოებით. საჭიროების შემთხვევაში ასევე წარმოდგენილ უნდა იქნას თქვენს მიერ დაფიქსირებული გარემოებების დამადასტურებელი შესაბამისი დოკუმენტაცია.,,

არადა წარმოვადგენილი გვქონდა სათანადო არგუმენტაცია, დოკუმენტაცია, ფოტომასალაც და ვითხოვდით წარმოებაში დაინტერესებულ მხარედ ჩართვას. არამგონია ვიმემ უფრო უკეთ, ნათლად და გარკვევით შეძლოს დაფიქსირება თუ რატომ, რა ნორმებს ვეწინააღმდეგებით შესათანხმებელი სამშენებლო სამუშაოებზე და რა ზიანი შეიძლება მოგვადგეს განსახორციელებელი სამშენებლო სამუშაოებით, ვიდრე ეს თავად თქვენს მიერ იქნა ჩამოყალიბებული და დაფიქირებული 2017 წლის 4 დეკემბერის N **3708469** გადაწყვეტილებაში, რომელიც აღნიშნულ ტერიტორიაზე მშენებლობას მიზანშეუწონლად მიიჩნევს და რომელსაც ცხადია მოწონებით შევხვდით და შესაბამისად დამატებით არგუმენტაციად& დოკუმენტადაც დავურთეთ ჩვენს განცხადებას. კერძოდ მასში გარკვევით გაქვთ ნათქვამი:

„ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი AR1561005 განცხადება, რომლითაც ითხოვთ ქალაქგეგმარებითი დასკვნას, მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: #01.11.13.005.040) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის განთავსებასთან დაკავშირებით. პასუხად გაცნობებთ შემდეგს:

თქვენს დაინტერესებაში არსებული მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი: #01.11.13.005.040) მდებარეობს მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლებით მოშენებულ, სისტემურად ჩამოყალიბებულ განაშენიანებაში, რომელზედაც მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის განთავსება არქიტექტურის სამსახურს, ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით,მიზანშეწონილად არ მიაჩნია.
მოცემული ტერიტორიის სამშენებლოდ განვითარება,ადგილმდებარეობიდან გამომდინარე, არქიტექტურის სამსახურს, ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით, შესაძლებლად მიაჩნია საზოგადოებრივი ფუნქციით. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ამ ეტაპზე, არქიტექტურის სამსახური
მოკლებულია შესაძლებლობას დააკმაყოფილოს თქვენი მოთხოვნა და გასცეს დადებითი ქალაქგეგმარებითი დასკვნა მოცემულ საკითხთან დაკავშირებით.„

ჩვენ მაინც ვითვალისწინებთ რა თქვენს განმეორებით მოთხოვნას ჩვენს მიერ არგუმენტების წარმოდგენის შესახებ, ახლა უკვე დამატებით დავაფიქსირებთ თუ რატომ ვეწინააარმდეგებით კორპუსის მშენებლობას ზემოთხსენებულ ნაკვეთზე, რომელიც მდებარეობს ისედაც მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლებით მოშენებულ, სისტემურად ჩამოყალიბებულ განაშენიანებაში, რომელზედაც კიდევ ერთი საცხოვრებელი კორპუსის განთავსება თავისი საჭირო ინფრასტრუქტურით ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით მართლაც მიუღებელია. მითუმეტეს დღეს, როცა მთავრობა მწვანე პოლიტიკის განხორციელებისთვის მიზანმიმართულ ბრძოლას აცხადებს და შესაბამისად აქცენტი აღებულია მწვანე სივრცეების შექმნაზე, მოცემული ნაკვეთს გაჩეხვა და სამშენებლოდ განვითარება კორპუსის აშენებისთის, მართლაც რომ წარმოუდგენელია ადგილმდებარეობიდან გამომდინარეც და მხოლოდ საზოგადოებრივი ფუნქციითაა მიზანასეწონილი, რასაც თქვენ თავადაც აღნიშნავდით სულ რაღაც ერთი წლის წინ.

მოგახსენებთ რომ დამაფიქრებელია დღეს, როცა მერია ეკოლოგიურ პროცესებში, ატმოსფერული ჰაერის დაცვაში განსაკუთრებულად აქტიურადაა ჩართული, რატომ იკავებს თავს არქიტექტურის სამსახური აღნიშნულ ადგილზე მშენებლობის ნებართვის ამჟამინდელი მაძიებლისთვის ერთმნიშჰვნელოვანი და საბოლოო, ამომწურავი პასუხის გაცემაზე, მაშინ როცა 2017 წელს ამ ნაკვეთით დაინტერესებულ სხვა პიროვნებასთან მიმრთებაში ეს არ გაგჭირვებია და თქვენი ზემოთხსენებული გადაწყვეტილების თანახმად გადაჭრით ეთქვა უარი მშენებლობის ნებართვაზე, რის შედეგადაც ამ პიროვნებას სხვების მსგავსად ნაკვეთის მხოლოდ საზოგადოებრივი ფუნქციით შესყიდვის სურვილი აღარ გაჩენია.

გაუგებარია რატომ კარგავთ ამდენ დროს, რაც ჩვენც დროის დაკარგვის გარდა ნერვების ფასი გვიჯდება და რატომ არ აძლევთ ამჟამინდელი ნებართვის მაძიებლს შპშ ,,ერქვანს,, ისეთივე ამომწურავ და გადაჭრით პასუხს როგორც ნაკვეთით ყველა წინა დაინაინტერესებულ პირს როგორც სიტყვიერად, ისე წერილობით. გვიხაროდა რომ წინა მთავროვბის დროს გადავარჩინეთ და შევინარჩუნეთ ეს ტერიტორია მწვანე სივრცედ. თითქოს 2017 წლის დეკემბერშიც ამოვისუნთქეთ და ახლა ისევ თავიდან დაიწყო ეს ყველაფერი.

თქვენი ბოლო ,,პასუხით,, გვაცნობებთ რომ: ,,წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად მასში გამოვლინდა გარკვეული სახის ხარვეზები, რის გამოც ამ ეტაპზე მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა არ მომხადარა,,

რა გარკვეული სახის ხარვეზებზე შეიძლება იყოს საუბარი ამ ეტაპზე ან ნებისმიერ ეტაპზე, როცა ძველი ხარვეზებიც საკმარისი და აუცილებელი პირობაა კორპუსის შენებლობაზე უარის თქმისა ან რა განსაკუთრებული საბუთი უნდა იქნას ყოველივე ამის საპირწონედ წარმოდგენილი, რომ მიზანშეწონილად ჩაითვალოს იქ კორპუსის მშენებლობა. მიუხედავავად ამისა შპს ,, ერქვანსს,, თქვენგან პირველ რიგში მოეთხოვა გარემოს დაცვის სამსახურისგან ნებართვის წარმოდგენა ხეების მოჭრა, გადარგვისათვის წესების დაცვისა სათანადო ტექნიკის გამოყენების გათვალისწინებით და ნახსენებიც არც იყო თქვენგან უკვე სამართლიანად მიღებული გადაწყვეტილება № 3708469.

ამის შემდეგ ჩვენ ვიკითხეთ გარემოს დაცვის სამსახურში და მოგვახსენეს, რომ არ გაიცემა არანაირი ნებართვა არსებული, გარკვეული სახეობის ნარგავების მოჭრა, გადარგვის შესახებ, ვიდრე არ იქნება წარმოდგენილი მშენებლობის ნებართვა არქიტექტურის სამსახურისგან. მოკლედ, ჯადოსნურ წრეზე ვტრიალებთ, რადგან მაინც არ არსებობს დამატებითი საპირწონე დოკუმენტაციის კანონიერად მოძიების შესაძლებლობა იმისათვის რომ გაიცეს აღნიშნულ ტერიტორიაზე მრავალბინიანი სახლის მშენებლობის ნებართვა.

არსებობს მხოლოდ სურვილი საკითხის სამართლიანად და დროლად გადაწყვეტისა, რისი იმედიც გვაქვს.

მხედველობაშია მისაღები ის რომ აღნიშნული ნაკვეთი ორი მხრიდან მიწისქვეშა ავტოფარეხებითაა გარშემორტყმული, მესამე მხარეს კი ცენტრალური გაზისა და სასმელი წყლის მილებია განთავსებული. ფაქტიურად მშენებლობისთვის თავისუფალი დაახლოებით ალბათ 1300 მეტრია?! დანარჩენი როგორც საკ.გეგმიდან ჩანს ტროტუარსა და ავტოფარეხებს შორის დარჩენილი ვიწრო ზოლია. ალბათ ამიტომაც და აქამდეც ყველა ამ ტერიტორიით დაინტერესებული პირი პარალელურად აწარმოებს მომიჯნავე ავტოფარეხების მფობელებთან გარიგება, მოლაპარაკებას მათი შესყიდვის მიზნით, რაც ბადებს გონივრულ
ეჭვს ახალი მშენებლობის და ახალი საშიშროების წარმოშობისა.

რაც შეეხება თქვენს ბოლო რჩევას ვებ-გვერდზე ობიექტის სამშენებლო განვითარების შესახებ

თვალყურის დევნების შესახებ, დაბეჯითებით მოგახსენებთ რომ ეს სურვილისდა მიუხედავად თვეობით და წლობით შეუძლებელია. ეს რომ ასე არ ყოფილიყო, აღნიშნული ნაკვეთის შესყიდვის ამბავიც არ გამოგვეპარებოდა. ამიტომ თუ ჩვენს საქმეში ჩართვას არ ისურვებთ, იმ მიზეზით რომ საკითხის განხილვისას უჩვენოდაც მიიღებთ მხედველობაში ჩვენს პოზიციას და არგუმენტაციას, ძალიან კარგი, მაგრამ იმ საბაბით მაინც ნუღარ შეგვაფერხებთ, უფრო სწორად საქმეს ნუ შეაფერხებთ, თოთქოს არგუმენტები და მიზეზი არასასურველი მშენებლობის წინააღმდეგ საკმარისად არ არსებობდეს, თუნდაც ჩვენ ვერ შევძლოთ მათი საკმარისად კარგად წარმოდგენა თუ დასაბუთება, რადგან ეს ყველაფერი თქვენ, როგორც პროფესიონალებს ჩვენზე უკეთ მოგეხსენებათ.

ამტომ გთხოვთ საკითხის ჩვენი დასახლებისთვის და ზოგადად ქალაქისთვის სასიკეთოდ, ერთმნიშვნელოვნად და საბოლოოდ გადაწყვეტას და ამ გადაწყვეტილების ჩვენთვის სიტყვიერი თუ წერილობითი სახით შეტყობინებას.

გამცხადებას თან ვურთავთ

- გადაწყვეტილებას № 3708469, 04/12/2017

მადლობას მოგახსენებთ წინასწარ

თბილისის სამოქალაქო აქტივისტებისა და მუხიანის მოსახლეობის სახელით

მაია გოგოჩიშვილი

თბილისი, 28.01.2019